

# სასულიერო განათლების მიღების მოტივაცია და პერსპექტივები

სალომე ზირაკაძე ნია წულაძე / Salome Zirakadze, Nia Tsuladze

## კვლევის მოკლე ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში სასულიერო განათლების მიღების მოტივაცია და სამომავლო პერსპექტივების გამოვლენა.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევით დიდ სიახლეს შევთავაზებთ მკითხველს, რადგან აღნიშნულ თემაზე სოციოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა.

ნაშრომი ძირითადად აღწერს და იკვლევს ინფორმაციას თბილისის სასულიერო სემინარია/აკადემია/საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტების ჩაბარების მოტივაციებს, სამომავლო გეგმებს და არსებულ მდგომარეობას.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ თვისებივი მეთოდის სახე \_ პირისპირ ინტერვიუ. რესპონდენტების შერჩევა მოხდა თოვლის გუნდით პრინციპით , ჩართული დაკვირვების ტექნიკით.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კითხვარი-გზამკვლევი, არასტრუქტურირებული გაიდი. წინასწარ ჩატარებული იქნა ინტერვიუს პილოტაჟი, რამაც ხელი შეუწყო კითხვარის სრულყოფილებას.

ნაშრომს ახლავს საილუსტრაციო მასალა ჩანართების სახით.

## შესავალი

- **∅ თეოლოგიური განათლების მოკლე ისტორია საქართველოში**

ადრეული საუკუნეების განმავლობაში საქართველოში საეკლესიო მამები მხოლოდ მთარგმნელები და კომენტატორები იყვნენ. ორიგინალური ტიპის თეოლოგიური აღმოჩენა არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია. თუმცა სწორედ მათ განახორციელეს გარკვეული ცოდნის დაგროვება ამ სფეროში. ხოლო მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად კულტურათა ცვლა და ქართული ეკლესიის მსოფლიო ქსელში ინტეგრირება მოახდინეს. საუკუნეების განმავლობაში სასულიერო პირების განათლებას სხვადასხვა მონასტერთან (გელათი, იყალთო და ა.შ.) არსებული საგანმანათლებლო ცენტრები უზრუნველყოფდნენ, რომლებიც მეტნაკლებად პასუხობდნენ თანადროულ მოთხოვნებს. 1748 წლის 13 ნოემბერს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის ინიციატივით, საქართველოს საეკლესიო კრებამ მღვდლად კურთხევისათვის სასულიერო განათლების ქონა აუცილებელ ვალდებულებად დაადგინა. 1755 წელს ანჩისხატის ეზოში პირველი სასულიერო სემინარია გაიხსნა, რომელსაც სხვა ქალაქებში ასეთივე სასწავლებლების გახსნა მოჰყვა. 1817 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ახალი, რუსული ყაიდის სასულიერო სემინარია გახსნა, რომელთანაც დაკავშირებული ამბები მეტნაკლებად ცნობილია (ლაღიაშვილი, სტალინი). 1917 წლის ავტოკეფალიის აღმდგენელ საეკლესიო კრებაზე არ დაამტკიცეს სასულიერო განათლების ქონა სამღვდლო ხარისხის მოპოვების აუცილებელ წინაპირობად, რამაც დიდწილად განსაზღვრა ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შემდგომ პერიოდში. კრების მიერ განსაზღვრული სამომავლო გეგმები სასულიერო სასწავლებლების გახსნასთან

დაკავშირებით საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ მთლიანად გამორიცხა. 1963 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის თაოსნობით კლავ დაარსდა სასულიერო სემინარია, რომლის პირველ რექტორად შემოქმედის ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) დანიშნა. 1988 წელს სასულიერო სემინარია თბილისში გადმოვიდა, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით სასულიერო აკადემია და ორი საღვთისმეტყველო მიმართულების ინსტიტუტი დაფუძნდა.

### **კვლევის სფეროს აღწერა და კვლევის აქტუალობა**

2003 წლიდან საგრძნობლად შეიმჩნევა სასულიერო სემინარია/აკადემიაში ჩაბარების მსურველთა რაოდენობის ზრდა, საინტერესოა რა კონკრეტული მიზეზები იწვევს აღნიშნულ ცვლილებას. თემის აქტუალობას ასევე ამძაფრებს საზოგადოების მწვავე ინტერესი რიგ ფაქტორებთან დაკავშირებით:

1. ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა

2. სტუდენტების „პროფესიული“ მომავლის ექვემდებარება დაყენება

3. სასულიერო პირების თეოლოგიური განათლების არასანდოობის ხარისხი

### **კვლევის კონცეპცია და ჰიპოთეზა**

**კვლევის მიზანი:** სასულიერო განათლების მიღების მოტივაციის გამოვლენა.

#### **საკვლევი კითხვები:**

- უზრუნველყოფს თუ არა სასულიერო სემინარია - აკადემია საკუთარ სტუდენტებს სოციალური პირობებით?
- ნიშნავს თუ არა სასულიერო სემინარია/ აკადემიაში/ საღვთისმეტყველო ინსტიტუტში საზოგადოებაში მეტად ინტეგრაციას? სწავლა

#### **კონცეფცია/ჰიპოთეზა:**

სოციალური ფაქტორები გავლენას ახდენს აბიტურიენტის არჩევანზე გახდეს სასულიერო სემინარიის სტუდენტი.

### **კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები**

სოციალურ კვლევებში დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლას - კვლევის რესპონდენტების დამოკიდებულებების, მოტივაციებისა თუ პრეფერენციების სიღრმისეულ კვლევას. რაოდენობრივი კვლევისგან განსახვავებით, თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ ექვემდებარება სტატისტიკურ დამუშავებას. მისი შედეგები არ არის რეპრეზენტატიული, თუმცა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია შესაძლებელს ხდის საკვლევი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ, თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი

ტექნიკა, სიღრმისეული ინტერვიუ. რადგან ისეთი თემა როგორც არჩევანს, გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულებებს, მოტივაციებს, პოზიციებს ეხება, ყველაზე რელევანტურად სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი მივიჩნით.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს რესპონდენტები ღიად და თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს, იდეებს, გრძობებს, ფასეულობებს, ფიქრებსა და დამოკიდებულებებს.

კვლევამ მოიცვა 46 რესპოდენტი. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 50-60 წუთამდე.

ველის ჩატარების პერიოდი: 2013 წლის 1 მაისი -2012 წლის 30 ივნისი .

### **კვლევის ჩატარების აღწერა, კვლევის ადგილი, დრო, კვლევითი ჯგუფი, ფუნქციების განაწილება, სხვა**

კვლევის ფარგლებში სოციალურ ველზე მუშაობდა 2 ინტერვიუერი. ინტერვიუების ჩატარების ადგილად ავირჩიეთ საგანმანათლებლო ცენტრები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. რიგი მიზეზების გამო არ მოხერხდა სასულიერო სემინარია/აკადემიის შენობაში მისვლა. აღნიშნული სასწავლებლის რესპონდენტები საკუთარი ინიციატივით მოდიოდნენ ილიას უნივერსიტეტში. ინტერვიუების ჩატარება მოხდა ამავე უნივერსიტეტის აუდიტორიაში, ჩაწერისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

ველის ჩატარების პერიოდში იკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები. ერთ-ერთი დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი არის \_ 17 მაისის მოვლენები დაემთხვევა ჩვენი ველის პერიოდთან. ამ ფონზე აგრესიულად განწყობილი რესპონდენტები უარს აცხადებენ ინტერვიუზე. მიაჩნდათ, რომ ჩვენ შემოვლითი გზებით ინფორმაციის მოპოვება გესურდა 17 მაისის მოვლენებზე და არა ზოგადად იმ პრობლემებზე რაც არსებობს სასულიერო განათლების სფეროში. ჩვენ როგორც მკვლევარებმა, გადაწყვიტეთ რესპონდენტების მოსაძიებლად გამოგვეყენებინა სოციალური ქსელი "Facebook",.

"Facebook" რომელიც კომპიუტერის მომხმარებელთა სოციალურ ქსელს წარმოადგენს, ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ინფორმაციის გამცემი ათავსებს ინფორმაციას - როგორც ვერბალურს, ასევე ვიზუალურს (ფოტოები, ვიდეო) ან აუდიოს (მუსიკალური ჩანაწერები) - ფეისბუკზე, ადამიანთა გარკვეული წრისათვის მას ხელმისაწვდომს ხდის და განთავსებულ ინფორმაციაზე ვერბალურ უკუკავშირს, ანუ რეაქციას იღებს. ამ ინფორმაციის გაცნობა ქსელის ნებისმიერ წევრს და ამ წევრთა ქსელების ყველა მონაწილეს შეუძლია. სოციალური ქსელების გამოყენება ნაცნობთა თუ პროფესიულ ან მომხმარებელთა წრეებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

აღნიშნულ ქსელში არსებობს ჯგუფი „თეოლოგიური საკითხებით დაინტერესებული კლუბი“ . ამ კონკრეტული ჯგუფის წევრების სიაში აგნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირების გარდა გაწევრიანებული არიან სემინარია/აკადემიის სტუდენტები. რესპოდენტების მოძიების მიზნით გადაწყვიტეთ მიგვემართა ამ ჯგუფისთვის და გაგვეცნო ჩვენი კვლევის მიზანი. შეთავაზებამ არადექლარირებული რეაქციები გამოავლინა კვლევით მხარდებში. რის საილუსტრაციოდაც მოგვყავს სოციალურ ქსელში დაფიქსირებული კომენტარები. რესპონდენტების მოძიების პერიოდში გამოიკვეთა სტეროტიპული დამოკიდებულება ილიას უნივერსიტეტის და შესაბამისად მისი სტუდენტების მიმართ.



**Nia Tsuladze**

მეგობრებო, მოგესალმებით...

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებად გვჭირდება სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სასულიერო სემინარიაში/ აკადემიაში..... იქნებ შეგვეხმიაწოთ ის სტუდენტები, რომლებიც არიან დაინტერესებული. ვიკვლევთ სასულიერო სემინარიაში ჩაბარების მოტივაციას და პროფესიულ გეგმებს. დეტალურად აგიხსნით ვისაც დაგაინტერესებთ.. მერწმუნეთ ამ კვლევაში თქვენი მონაწილეობის მიღება კარგ შედეგს გამოიღებს, პრობლემის კონკრეტული მოგვარების გზები მაინც იქნება წათელი საზოგადოებისთვის. პატივსცემით წია წულაძე და სალომე ზირაქაძე — with Salo Ziraqadze.

Unlike · Comment · Unfollow Post · Share · 23 May at 18:49 near Tbilisi



You, Nino Datashvili and 2 others like this.



**Irakli Jinjolava** Don Kixote

23 May at 19:00 via mobile · Unlike · 2



**Vato Urushadze** ვისი დავალებით,ან რატომ?

24 May at 19:55 · Like



**David Jorjoliani** ამერიკიდან შემგდებული თემა იქნება

24 May at 21:28 · Like



**Vato Urushadze** ქალბატონო სოფო. მაინც და მაინც რაღა ეგ მოგავით მაგალითად, იქნება კარგიც დაგენახათ,,ან რის მიღწევა გინდათ ამოთ,ან აქ რა მოსატანი იყო?

ქალბატონო სალმე, თქვენ იქნება გობდეს იმან შეგაწუხოთ დეისაძეებს რომ ზრდით ილიაში და ის თეზაძე რომ გიზით კიდეც, ეკლესიის მტერი. თქვენ კი არ გაწუხებთ მორიგი თავდასხა გსურთ ეკლესიაზე, თუმცა ასეც რომ არ იყოს უნდა იცოდეთ რომ თქვენი მოსაგვარებელი ნამდვილად არ არის ეკლესიაში არაფერი, ეს საეკლესიო კანონიკითაც ასეა. ეკლესია 21 საუკუნეა არსებობს და წუ დაგავიწყდებათ რომ ვერცერთმა მტერმა ვერ შეძლო მისი შერყევა, და რატომ თუ იცით, მას მართავს არა ის ადამიანები, რომელიც ქალბატონმა ახსენა, მექრთამეობას რომ გაუსვა ხაზი, არამედ თვით უფალი იესო ქრისტეა მისი თავი და მადლობა მას, რომ მრავალი ღირსეული მსახური ყავს დღეს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, აბა დოროთე ბრძანებს, რომ მას ვისაც გულში ცუდი უდევს, სხებშიც ცუდს ეძებს და და ვისაც კარგი კარგსო, ასე რომ, ჭკუას არ გარიგებთ, მაგრამ იქნება გერ საკუთარი თავით დაგეწყით, მისულიყავით ეკლესიაში, აღსარება და ზიარება მიგელოთ, გაცნობიდით საეკლესიო მამათა ნაწერებს და მერე დაგეწყით "ეკლესიის ნაკლის" გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ სოლომონ წინასწარმეტყველის სიტყვებისაებრ ბრძენი და ბრმათა წინამძროლები გახდებით, რაც ასეც და ისეც ცუდ შედეგს გამოიღებს.

25 May at 20:31 · Like



**Nia Tsuladze** ბატონო ვატო \_ დეისაძის მაგალითი სულიად შეუსაბამოა ამ კონტექსტისთვის. ( ცნობისთვის, ის ილიაში არ სწავლობდა). კიდეც ერთხელ შეგახსენებთ ვატო, რომ ჩემი და სალომეს მიზანი არის სოციოლოგიური კვლევის ჩატარება ჩვენი სასწავლო კურსის ფარგლებში. თუ სწორად წაიკითხავდით და გაეცნობოდით კვლევის თემას, ხაზგასმით წერია რომ ვიკვლევთ სასულიერო სემინარია/აკადემიაში სტუდენტების ჩაბარების მოტივაციას. სხვა მიზანი ჩვენს კვლევას არ აქვს. არამართებულად მიმაჩნია, როდესაც ეკლესიის შერყევის საკითხებს ეხებით, ეს ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის.

25 May at 20:40 · Unlike · 3

- 
**Salo Ziraqadze** ვატო თქვენთან კამათს არ დავიწყებ ვთვლი რომ არადეკვანტური რეაქცია გაქვთ და ამას ვერ შევადგინებ .  
 25 May at 21:53 · Like · 3
- 
**Vato Urushadze** რას იზამთ, 1 გივი საჭიროა ყველგანო ნათქვამია  
 25 May at 21:54 · Like
- 
**Nino Datashvili** Shalva Tumanishvili  
 25 May at 22:10 · Like · 1
- 
**Nino Datashvili** Levan Topuria  
 25 May at 22:10 · Like · 1
- 
**Shota Kinwurashvili** აბსურდულია და სუსტია თქვენი ბრალდებები Vato Urushadze ეკლესიის მტრებზე, დეისაძებზე და შეთქმულებებზე ილიაუნში... ეს წიგნები კი სწორედ ილიაუნშია გამოცემული და გამოირჩევა მაღალი აკადემიურობით

- 25 May at 20:50 · Like
- 
**Nia Tsuladze** ბატონო ვატო, იმისთვის რომ კარგად გაიგოთ რა არის სოციოლოგია გთხოვთ გაეცანით და კარგად გაანალიზებთ ჩვენი კვლევის არსს <http://sociology.unc.edu/undergraduate-program/sociology-major/what-is-sociology>  
 25 May at 20:51 · Like · 1
- 
**Vato Urushadze** მაღლობა, იყოს არ მინდა, ეგაც რომ არა და მაინც ვერ გავიგებ, არ ვიცი ინგლისური.  
  
 მე უბრალოდ როგორც აკადემიელმა ჩემი ვთქვი და ჩემსავე აზრზე ვრჩები.  
 დანარჩენი რაღა თქმა უნდა თქვენი ნებაა...  
 25 May at 20:55 · Like

- 
**Don Kixote** vato shen ra eskursic gaakete magastan nagdad arafer shuashi ar arian es gogoebi damjere..  
 25 May at 20:59 via mobile · Unlike · 1
- 
**Vato Urushadze** აბა ძმაო მაშინ არც იმას ამბობენ რა პრობლემებზე საუბრობენ, თან მათი გამოსასწორებელი არც არის. ისეც ვერ გავიგე რატომ უნდა იკვლიო მოტივაცია, ჩვენი სასწავლებელი ითვალისწინებს ღვთისმეტყველების საბაკალავრო და სამაგისტრო კურსს, ლოგიკურია რომ ღვთისმეტყველების სწავლა გვიწავდა.  
  
 მოკლედ რავი რა, მე აზრი დავაფიქსირე და კარგი განზრახვა აქვთ თუ ცუდი ეგ ღმერთმა იცის  
 25 May at 21:03 · Like
- 
**Nia Tsuladze** მაღლობა ვატო , აზრის გაზიარებისთვის :))))  
 25 May at 21:07 · Like
- 
**Don Kixote** yvela da yvelafersh ar sheizleba chveni mtrebi "ganvchritot"..  
 25 May at 21:09 via mobile · Like
- 
**Vato Urushadze** რა თქმა უნდა, მტერი მტერია, მოყვარე მოყვარე.  
 25 May at 21:10 · Like

სადღთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტებს აგრეთვე სოციალური ქსელის მეშვეობით დავუკავშირდით. მათი დამოკიდებულება კვლევასთან მიმართებაში შედარებით ლოიალურია, ვიდრე სემინარია აკადემიის

სტუდენტების დამოკიდებულება. საღვთისმეტყველო ინსტიტუტის, შენობის არარსებობის და ფართის სიმცირის გამო გადანაწილებულები არაინ სამ სხვადასხვა შენობაში, ნაწილს ლექციები უტარდებოდათ სამების საკათედრო ტაძარში, ასევე სასულიერო/სემინარიის შენობაში სიონთან, ხოლო მეოთხე კურსის სტუდენტების ნაწილი, კერძოდ კი ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები განთავსებულენი არაინ ყოფილი მეცხრე საავადმყოფოსთან არსებული ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათთან შეხვედრა მოხდა ამავე ტერიტორიის ეზოში, რის შემდეგაც გადავინაცვლეთ უშუალოდ აუდიტორიაში. გავეცანით გამოცდის ჩატარების სტილს და სტუდენტების განათლების დონეს, ასევე დაკვირვების მიზნით გავეცანით არსებული შენობის ინვენტარს.

იქიდან გამომდინარე რომ ჩვენი ერთ-ერთი საკვლევი ჯგუფი იყო სემინარია/აკადემიის კურსდამთავრებულები რომლებიც ეხლა იღებენ/მიიღეს დასავლური სასულიერო განათლება, მათთან კომუნიკაციის დასამყარებლად გამოვიყენეთ "Skype".

კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ კომუნიკაციის ახალი სახეების გამოყენება გახადა შესაძლებელი. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობას სკაიპი წარმოადგენს. კომპიუტერზე ვიდეოკამერის, მიკროფონისა და დინამიკების დაყენების შემთხვევაში, იგი სმენით არხთან ერთად, ვიზუალური არხის გამოყენების საშუალებასაც იძლევა. ასევე შესაძლებელია სკაიპით განხორციელებული კომუნიკაციის კომპიუტერში შენახვა.

საქართველოში მოღვაწე ექსპერტ-თეოლოგებთან ინტერვიუს ჩაწერა მოხდა მათ სამუშაო გარემოში, პირისპირი ინტერვიუს სახით. აღნიშნული სფეროს ექსპერტებმა დამხმრე საშუალებად გადმოგვცეს ტექსტური მასალები და სხვადასხვა ლიტერატურა.

კვლევის ფარგლებში შემდეგ საკვლევ ჯგუფს წარმოადგენს სასულიერო პირები, მათთან გასაუბრება მოხდა იმ ეკლესიების ეზოში სადაც მსახურობენ. შევარჩიეთ ოპტიმალური დრო, როდესაც არ მიმდინარეობდა ღვთისმსახურება ტაძარში და შესაბამისად სასულიერო პირებმა დრო დაგვითმეს აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ. მათი შერჩევის არგუმენტის გასამყარებლად მოვახდინეთ მიზნობრივი შერჩევა, თეოლოგიური განათლების მიხედვით. ორივე სასულიერო პირს გააჩნია სემინარია აკადემიის განათლება რაც ჩვენი კვლევის კითხვებს და ამოცანებს ეხმიანება.

## საკვლევი ჯგუფი

რესესპოდენტთა გამოკითხვა ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებში პირისპირ ინტერვიუს მეთოდის სახით, რომელიც იძლევა მრავალმხრივ უფრო სანდო ინფორმაციას. ერთის მხრივ შერჩევის დიზაინის და კრიტერიუმების დაცვა უფრო ადვილია შესაბამისად კვლევის სანდოობის ხარისხი მაღალია. მეორეს მხრივ, პირისპირ ინტერვიუს დროს კომუნიკაცია ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის უფრო სრულფასოვანია.

კვლევის ინსტრუმენტს წამოადგენს კითხვარი-გზამკვლევი (Guide).იხ დანართი

**შერჩევა:** რესპოდენტები შერჩეულ იქნენ თოვლის გუნდის მეთოდით, თუმცა დაცული იქნა შესაბამისი კრიტერიუმები. კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შერჩეულნი იყვნენ, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტები.

გეოგრაფიული ლოკაცია - თბილისი

## მთავარი მიგნებები და შედეგები

### სასულიერო სემინარია/აკადემიაში მისაღები გამოცდები

2013-2014 სასწავლო მისაღებ წლამდე სასულიერო სემინარია აკადემიაში სწავლის მსურველები მხოლოდ შიდა მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ. წელს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც საბაკალავრო პროგრამაზე – სასულიერო სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ჩაბარების მსურველები – შიდა ჩასაბარებელ გამოცდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში და აბარებენ მხოლოდ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია მოწოდებულია მოამზადოს საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისთვის საჭირო სასულიერო და სამეცნიერო კადრები. თბილისის აკადემიისა და სემინარიის სტუდენტი შეიძლება გახდეს ეკლესიურად მცხოვრები მართლმდაიდებელი ქრისტიანი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს.

დასაწყისითვის გვსურს განვმარტოთ სასულიერო სემინარიისა და სასულიერო აკადემიის შორის განსხვავება. სასულიერო აკადემია უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე სემინარია. აკადემიაში ისწავლება სამაგისტრო პროგრამა, ხოლო სემინარიაში კი საბაკალავრო. სემინარია/აკადემიაში სწავლობენ მხოლოდ **მამრობითი სქესის** წარმადგენლები თეოლოგიის პროგრამაზე.

თბილისის სასულიერო სემინარია/აკადემიასთან არებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ისწავლება საბაკალავრო პროგრამა. არ არის შეზღუდული სქესთა ბალანსი, ფაკულტეტებიც რამდენიმეა: კერძოდ ქრისტიანული ფსიქოლოგია ; ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა ; ხატწერა; დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია.

**2013-2014 სასწავლო წლისათვის** მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის მფლობელნი, ან მასთან გათანაბრებული პირები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარდება მხოლოდ, **ქართული ენა და ლიტერატურა. აბიტურიენტები**

**თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია 2013-14 სასწავლო წლისათვის**

ასევე აცხადებს მიღებას **თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე**.

მაგისტრატურაში (აკადემიაში) მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი

საერო და სასულიერო განათლების მქონე პირები (მხოლოდ მამაკაცები).

შიდა გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: **წმინდა წერილი (ზეპირი); ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი); საქართველოს ისტორია (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); უცხო ენა.**

### სასულიერო სემინარია/აკადემიაში ჩაბარების მოტივაციები:

კვლევის შედეგების თანახმად, სტუდენტების მოტივაციები სამ კატეგორიად დაყავით, მათი მოქმედების ტიპებს კარგად შეესაბამება მაქს ვებერის სოციალური მოქმედების კლასიფიკაცია.



- სასულიერო სემინარიაში ჩამბარებელთა მოტივაცია \_ მიზან-რაციონალური
- სასულიერო აკადემიაში ჩამბარებელთა მოტივაცია \_ ღირებულებით-რაციონალური
- საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ჩამბარების მოტივაცია \_ აფექტურ-ემოციური

ნათლად იკვეთება, რომ სასულიერო სემინარიის გამოკითხული რესპონდენტების ნაწილს ახასიათებთ მიზან-რაციონალური მოქმედება, განსაზღვრული აქვთ მკაფიოდ თავიანთი მიზანი და სამომავლო გეგმები.

**“სემინარიაში რომ ჩავბარე დაახლოებით მქონდა ჩემი გადაწყვეტილება გაცნობიერებული, პირველი კურსის დასრულების შემდეგ კი ვიცი ზუსტი პასუხი კითხვაზე, რატომ სემინარია. მაინტერესებს ეს სფერო, მაინტერესებს ის კითხვები რაც მხოლოდ ბიბლიის კითხვით ვერ შევავსე”** გიორგი 21 წლის

გამოკითხული რესპონდენტების მცირე ნაწილი სასულიერო სემინარიაში ჩამბარების ძირითად მიზეზს ვერ ასახელებს, რადგან ისინი თვლიან რომ სრულიად გაუაზრებლად აირჩიეს ეს სფერო სხვადასხვა მიზეზების გამო.

**“არც მაშინ მქონდა ზუსტი მიზეზი რატომ ვაბარებდი და ეს არც ეხლა მაქვს ჩამოყალიბებული, რაღაც სადმე ხომ უნდა მესწავლა...თუ რატომ სემინარია? აქ ცხოვრებას უკეთ ვისწავლი”**ნიკოლოზი 22წლის

განსხვავებები შეიმჩნევა სასულიერო აკადემიის სტუდენტებში, მათ რაციონალურად ჩამოყალიბებული მიზანი აქვთ. ვებერსიულ კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული სტუდენტების მოქმედების ტიპს კარგად აღწერს -ღირებულებითი რაციონალური მოქმედება, რომელიც დაფუძნებულია თვითკმარი ღირებულებების (რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური) უპირობო რწმენაზე. ამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ისინი სასულიერო აკადემიაზე არჩევის შეჩერებას მხოლოდ ორი გარემოებით ხსნის. უმეტესობას სურს მიიღოს სასულიერო განათლება და თეოლოგიური საკითხები შეისწავლოს სიღრმისეულად, მცირე ნაწილს კი სამომავლოდ საკუთარი თავი სასულიერო პირად წამოუდგენია. ასეთი რაციონალური მიზანები, ალბათ იმით აიხსნება რომ არცერთი გამოკითხული რესპონდენტი არ იყო 27 წელზე ნაკლები ასაკის, მათ უკვე დამთავრებული ქონდათ სასულიერო სემინარია და მეტ- ნაკლებად ერკვეოდნენ არსებულ მდგომარეობაში.

**“მე 29 წლის ვარ, პროფესიით ჟურნალისტი, მაგრამ 24 წლის ასაკში აღმოვაჩინე რომ სასულიერო სემინარიაში სწავლა მსურდა, ჩავბარე და როდესაც სემინარია დავამთავრე აკადემიაში ჩავირიცხე, რა თქმა უნდა მაქვს მიზანი, არჩევანი უკვე გავაკეთე და შედეგებისთვის ვიბრძვი, მსურს სასულიერო პირი გავხდე და ამისთვის ვიღებ განათლებას, ვფიქრობ დოქტორანტურაშიც გავაგრძელებ სწავლას.”** გიორგი 29 წლის

გამოკითხვისას აღმოჩნდა რომ, არსებობენ რესპონდენტები, რომლებმაც მიატოვეს საერო სასწავლებლები და გადავიდნენ სასულიეროში. ამის მთავარ მიზეზად კი ასახელებენ სასულიერო ცოდნის მეცნიერულად მიღების მოტივაციას.

**„1-ელ კურსზე ვიყავი, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა მივატოვე და გადავედი სასულიერო სემინარიაში, ამის მთავარი მოტივაცია გახლავთ სასულიერო სწავლებისათვის ინტერესი. ამაჟამად კი აკადემიაში ვსწავლობ.“** გიორგი 24 წლის

სულიერო სემინარია, აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტების უმეტესობას (ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტი) საერთოდ არ აქვთ ფორმულირებული თავიანთი მიზნები, არ გააჩნიათ არგუმენტები თუ რატომ აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება და არა სხვა. ძირითადად ამ სასწავლებელში აღინიშნება ჩამბარების მოტივაციის შემდეგი ფაქტორები: მშობლის, მოძღვრის რჩევა აღნიშნულ სასწავლებელზე. გადაწყვეტილება მიღებული იქნა ოჯახის ტრადიციებზე დაყრდნობით.

**„ბავშვობიდან მთელი ოჯახით დავდიოდით ეკლესიაში, სწორედ ეს იყო ერთ-ერთ ფაქტორი ჩამბარებინა საღვთისმეტყველო ინსტიტუტში. ამასთანავე სამეგობრო წრეც ამ ინსტიტუტში სწავლობდა და თეოლოგიაც მაინტერესებდა „**ნათია 21 წლის

საინტერესო კოლერაციები შეიძლება დავინახოთ ასევე სტუდენტებს შორის, ვინც თბილისში ცხოვრობს და მათ შორის ვინც რაიონიდანაა ჩამოსული. ისინი ვინც რაიონიდან სასწავლებლადაა ჩამოსული, დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან, არის ძირითადი მიზეზი თუ რატომ აირჩიეს სასულიერო განათლების მიღება. როგორც ყველას მოგეხსენებათ, აღნიშნულ სასწავლებელში სწავლა უფასოა. კვლევის შედეგების მიხედვით, ჩაბარების მოტივაციებში იკვეთება სამი ძირითადი ასპექტი:

- ფინანსური მხარე
- სფეროსადმი ინტერესი
- ალტერნატიული გზა

რესპონდენტები ღიად საუბრობენ იმ შეღავათებზე, რომელსაც სასულიერო სემინარია/აკადემია სტუდენტებს სთავაზობს.

**“მე რაიონიდან ვარ ჩამოსული, ნამდვილად არ აქვს ჩემს მშობლებს იმის ფული რომ 2250 ლარი სწავლაში გადამიხადონ, თავი თვიდან თვემდე ძლივს გამაქვს, ძალიან მეხმარება უფასო სამგზავრო ბარათი, ხშირად კვებითაც სემინარიაში ვიკვებები, პრეტენზიები როგორ შეიძლება მქონდეს როდესაც სრულიად უფასოდ ვიღებ განათლებას, ხარისხი აქ მეორე ხარისხოვანია” ნათია 20 წლის .**

გამოკითხული რესპონდენტების ძალიან მცირე ნაწილის წარმოადგენენ ის სტუდენტები, რომლებიც თეოლოგიური განათლების მისაღებად სემინარია/აკადემიაში ჩააბარეს. მათი აზრით, საქართველოში სხვა სასულიერო სასწავლებელი არ არსებობს, შესაბამისად სასწავლებლის არჩენის საშუალება არ ჰქონდათ.

**“რადგან მაინტერესებს თეოლოგია, უფრო სიღრმისეულად მსურს შევისწავლო ეს საკითხი, ამიტომ არჩევანი არც მქონია , სად თუ არა სასულიერო აკადემიაში ? არ აქვს სხვა სასწავლებლებს ეს სფერო განვითარებული.” ზაზა 25 წლის**

საინტერესოა იმ სტუდენტების აზრი, ვისაც საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ჩაბარება, ასე ვთქვათ იძულების წესით და სრულიად გაუაზრებლად მოუწიათ.

**“ეროვნულ გამოცდებზე ჩავიჭერი, სწორედ მაგ ზღბულ ჩარიცხეს პატრიარქის კურთხევით ყველა ვისაც სურდა სწავლის გაგრძელება საღვთისმეტყველო ინსტიტუტში , არ მიფიქრია ზევრი და არჩევანი მეც მანდ შევაჩერე.” ნანა 22 წლის**

**“ეკონომიურზე ვაბარებდი ჯავახიშვილში, მაგრამ ეროვნულ გამოცდებზე ზღვარი ვერ გადავლახე, იმისთვის რომ ჯარში არ წავსულიყავი გადავწყვიტე აქ მესწავლა”**

გელა 21 წლის

### რა ხდება დღეს

გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა სწავლის ხარისხისადმი დამოკიდებულებას ღიად არ აფიქსირებს, თუმცა ნაწილი აღნიშნავს რომ მათთვის მისაღებია სწავლების ხარისხი. ამ ფაქტს არგუმენტირებულად ვერ ადასტურებენ, რაც მათი პასუხების სანდოობაში ეჭვს იწვევს.

**“კმაყოფილი ვარ სწავლის ხარისხით, უკეთესი არ არის საქართველოში, კარგი პედაგოგები გვყავს და საინტერესო საგნებს გვასწავლიან” ლაშა 21 წლის.**

საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტების უმეტესობამ არჩევანი რელიგიათმცოდნეობისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე იმიტომ შეაჩერეს, რომ მათი აზრით ორივე სფეროს ეუფლებიან. სასულიეროსფეროში თუ არა, ფსიქოლოგად მაინც ეიმედებათ დასაქმება.

**“საქართველოში ერთადერთია რელიგიათმცოდნეობის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, რითაც მე ვამაყობ, რელიგიის საკითხებსაც ვსწავლობ და ასევე ვეუფლები ფსიქოლოგიას, მომავალში მალიან მინდა ვიმუშაო ფსიქოლოგად. ამიტომ ეს ფაკულტეტი ჩემთვის არის ზედგამოჭრილი, თან ამაში თანხას არ ვიხდები.”** თინა 21 წლის

ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტისთვის დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საქართველოში. თუმცა საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტების “ბედი” სრულიად გაურკვეველია. წლებანდელ წლამდე არ გააჩნდათ აკრედიტაცია.

**“მე არ ვიცი ჩემი განათლება აკმაყოფილებს თუ არა სხვა უმაღესი სასწავლებლების დონეს. მე მაქვს დაურწმუნებლობის განცდა, მსურს მგისტრატურაში სწავლის გაგრძელება, არვიცი რამდენად მომეცემა ამის შესაძლებლობა რადგან აკრედიტებული სასწავლებელი არ მექნება დამთავრებული, საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრი ზედმეტია, იქ ისთი მოთხოვნებია მე ვინ მიმიღებს.”** ნინო 22 წლის

### სამომავლო პერსპექტივები

დასაქმების პერსპექტივის მიხედვით, სტუდენტები საკუთარი თავს მოაზრებენ სკოლაში მასწავლებლად, ან ეკლესიებში

**“ყველაზე დიდი დიდი ვიმუშაო სკოლაში ფსიქოლოგად, მაგრამ რადგან არაკრედიტირებული ყოფილა ესეც სადაო საკითხია, ამიტომ მითხრეს რომ შემიძლია მესანთლედ ვიმუშაო ეკელსიაში”** მადონა/22 წლის

აღსანიშნავია, სტუდენტების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. მამრობითი სქესის წარმომადგენლების უმეტესობა ფიქრობს, რომ საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტი გოგონების შანსი გახდეს მღვდლის მუდღე უფრო დიდია, ვიდრე სხვა კურსდამთავრებულის. ამ ფაქტს გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს.

**“ ბევრი გოგო აქ სწავლობს იმიტომ, რომ გახდეს ფოფოდია, ანუ მღვდლის ცოლი.”** გიორგი 21 წლის .

გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს რაციონალურად ჩამოყალიბებული ინფორმაცია, თუ როგორ ხედავს მომავალს.

**“არ ვიცი ჩემი მომავალი როგორი იქნება, ღვთის წყალობით იმედია ყველაფერი კარგად ”** გვანცა/21 წლის .

განსხვავებები შეიმჩნევა სასულიერო აკადემიის სტუდენტების მოტივაციებს და დანარჩენი ორი სასწავლებლის სტუდენტების სამომავლო გეგმებს შორის. სასულიერო აკადემიის სტუდენტებს მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული თავიანთი მიზანი და მათი უმეტესობა უახლოესი 5 წლის გეგმებსაც გვაცნობს.

**“ჩაბარებითანაც განოიერებული მქონდა თეოლოგიის არსი, ეხლა იმ ეტაპზე ვარ როდესაც ზაზისურ ცოდნას ვაგროვებ საქართველოში, ვსწავლობ ენებს და ვაპირებ წასვლას საზღვარგარეთ . გერმანია ან საბერძნეთი, ალბათ უფრო გერმანია, ზუსტად ვიცი რომ აკადემური კუთხით წავალ ამ სფეროში”** სანდრო/23წლის

სასულიერო სემინარია/აკადემიის სტუდენტების მალიან მცირე ნაწილს სურს გახდეს სასულიერო პირი, რაც ორი განსხვავებული ფაქტორით აიხსნება. პირველი\_ შინაგანი მოწოდების, და მეორე\_ პრესტიჟის საფუძველზე.

**“მინდა რომ გავხდე სასულიერო პირი თან ამის დიდი შანსიც მაქვს, რადგან ბიძაჩემი არის მღვდელი. მღვდლობა პირველ რიგში იმიტომ მინდა, რომ ღვთის და ხალხის სამსახურში ვიყო, თან ესეც ერთგავრი პროფესია და საკმაოდ დაფასებული”** ლევანი/22წლის

**სტუდენტების ინტერესის სასულიერო განათლებაზე დახარჯული თანხის მიმართ**

კითხვაზე აკმაყოფილებს თუ არა სასწავლებელი სწავლის ელემენტარულ პირობებს რესპოდენტების ნაწილი ღიად არ ასახელებდა თავის პოზიციას, ნაწილმა კი „დააფიქსირეს უკმაყოფილების მაღალი ხარისხის დონე:

„სად მიდის ამდენი ფული როდესაც ვსწავლობთ დანგრეულ შენობაში, ახალ შენობას მეცხრე საავადმყოფოს ადგილზე უკვე აშენებენ 3 წელია, არადა არ გადავედით, არც სარემონტო სამუშაოები სრულდება. აუდიტორიები მოუწესრიგებელია, არც კომპიუტერები გვაქვს, არც ქსეროქსი დგას, ბიბლიოთეკაზე ხომ ზედმეტია საუბარი... სად მიდის ამდენი ფული ალბათ ლექტორების ჯიბეში და ჩვენი საყვარელი რექტორის ჯიბეში. არამგონია ამაზე ინფორმაცია ჰქონდეს საპატრიარქოს, თორემ ის აუცილებლად გამოიკვლევდა ამ ფაქტს და აუცილებლად მიიღებდა ზომებს. არ ვჩუმდები და ამ ხარჯებზე ხმას ვიღებ! რატომ გაგჩუმდე, რადგანაც მამამ მომცა კურთხევა რო გაგჩუმდე?! არა, ამაზე არ გაგჩუმები! ჯერ ამდენი წელი გვატყუებდნენ არაკრედიტებული ყოფილა“ თეკლა 22 წლის

2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საპატრიარქოს ორგანიზაციების სია

რიგ. №	კოდიკატორი	დასახელება	2013 წლის ბაჟმა
1	45 01 01	გელათის სასულიერო აკადემია, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, ქუთაისის სასულიერო სემინარია	500000
	45 01 02	ახალციხის სასულიერო სემინარია	400000
2	1	მ.შ. სასულიერო სემინარია ხაჯარაში	
3	2	სამრეფლო სკოლები: ახპინჯაში	
4	3	ვალეში	
5	4	სოფ. უდეში	
6	5	სოფ. არაღვი	
7	6	სოფ. ივლიტი	
8	7	სოფ. ბენარი	
9	8	სოფ. შიხი	
10	45 01 03	გელათის მეცნიერებათა აკადემია	130000
	45 01 04	თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	2563700
11	1	მ.შ. სასულიერო აკადემია-სემინარია	
12	2	საღვთისმეტყველო ინსტიტუტი	
13	45 01 05	საქართველოს საპატრიარქოს წმ.ილია მართლის სახ. თბილისის სკოლა	236000
	45 01 07	ა(ა)პ – მესტიის ქრისტიანული განათლების ცენტრი	360000
14	1	მ.შ. ქრისტიანული კულტურის ცენტრი	
15	2	გიმნაზია	

თუმცა, იყო განსხვავებული მოსაზრებებიც:

“უფასოდ სწავლობ და რა შენ აკრედიტაციაც გინდა? აბა რომელ სხვა უნივერსიტეტში ისწავლიდი უფასოდ? ივლიდი საპატრიარქოს შენობაში, შეჭამ იქაურ ბუფეტში და საერთოდ იცხოვრებ იქ!“ ნანა 21 წლის

**სტუდენტების მოლოდინი ახალ სასწავლო შენობაზე**

თბილისის სასულიერო სემინარია/აკადემიის და მასთან არებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტები ახალ სასწავლო შენობაზე იმედგაცრუებულ მოლოდინს გამოიხატავენ. ჩარიცხვის დღიდან ელიან ახალ შენობაში გადასვლას, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ყოველგვარი სასწავლო ინვენტარით.

" შენობის არქონის გამო რამდენიმე ცვლაში ვართ, ძალიან პატარა აუდიტორიებია ვერ ვეტყვით, ეხლა ველოდებით მე-9 საავადმყოფოს შენობაში გადასვლას, სექტემბერში უნა ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. შენობა გასარემონტებელია და იმედია ოდესმე იქნება ეს პრობლემა მოგვარებული" ნიკა 20 წლის

გამოიკვეთა კრიტიკულად განწყობილი რესპოდენტებიც, რომელებმაც მაღალი ემოციურობის ფონზე დააფიქსირეს პოზიცია:

„ განათლება კი მივიღე და მე ამის კმაყოფილი ვარ. მე მინდა რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს ელემენტარული პირობები. მე არ მაქვს 5 - 6 ლარი, რომ ყოველდღიურად ქსეროქსი გადავკეთო. კომპიუტერების ოთახი რომ გვქონდეს ვივლიდი და ვიმეცადინებდი, მაგრამ არ გვაქვს! წარმოიდგინე ეხლა , გლდანში ვცხოვრობ და რამდენი დრო, ენერგია და ფინანსები უნდა დაგხარჯო, რომ ჯერ აქ მოვიდე შემდეგ საპატარაოში წავიდე. უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს სწავლის ელემენტარული პირობები!!" ნინო/21წ.

### სასწავლებლის აკრედიტაციის შესახებ

საქართველოს მეცნიერებათა და განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით სასულიერო სემინარია/აკადემიას ოფიციალურად მინიჭებული აქვს აკრედიტაციის ხარისხი. შესაბამისად სასწავლებლის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში. ოფიციალურად არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია საღვთისმეტყველო უნივერსიტეტის აკრედიტაციის შესახებ. თუმცადა, არსებობს მაგისტრატურაზე ჩაბარების იმ სტუდენტების სია რომლებიც 2013 წელს გადის ეროვნულ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე.

აქვე ღვნიშნავ რომ 2013 წლამდე საღვთისმეტყველო ისტიტუტს არ ჰქონია გავლილი აკრედიტაცია. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს:

„ძალიან საინტერესო ფაქტულტეტზე ვსწავლობ, კონკრეტულად კი ფსიქოლოგიამ დამაინტერესა. მინდოდა სწავლა გამეგრძელებინა მაგისტრატურაზე, მაგრამ უცხოეთში სწავლის გაგრძელებაზე კი ზედმეტია საუბარი საუბარი ამისთვის ინსტიტუტმა უნდა გაიაროს აკრედიტაცია. როგორც ვიცი სემინარია-აკადემიამ გაიარა და რა უცნაურია, ბარემ ამ „არსებულსაც გაეგლო.. თუ არადა მე ვგრძნობ კონსპექტური დონის ცოდნას, რომეზეც გაჩერება ჩემი შინაგანი რესურსების დაბლოკვას გამოიწვევს და მუდმივად დამტანჯავს შეგრძნება რომ რაღაც დავაკკელი და თუკი ეს სფერი ჩემი არ არის შესაბამის გარემოში სწავლა მიმახვედრებდა რომ ამოვწურე ჩემი შესაძლებლობა და გავაგრძელებდი მიებას. იუმორით აღვნიშნავ რომ უამრავი საგნიდან ვიცი ცოტ-ცოტა ყველაფერზე.“ ნინო 21 წლის

### კვლევის შფასება და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და შენიშვნები

მკვლევარები, რომელებიც დაინტერესდებიან და მომავალში დააპირებენამ თემის კვლევას ისევ და ისევ გვსურს შევახსენოთ ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რისი გათვალისიწნებაც ჩვენი კვლევის დროს არ/ვერ მოხერხდა რიგი მიზეზების გამო. რაც შეეხება კონკრეტულად კვლევის მეთოდოლოგიის, თვისებრივი მეთოდის ტექნიკებმა კარგად იმუშავა ,მივიჩნევთ რომ სიღრმისეული ინფორმაცია მოვიპოვეთ საკვლევი საკითხის შესახებ. რესპოდენტების შერჩევასთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე რჩევა, პირველი \_ რეპოსნდენტები თანაბარი რაოდენობით უნდა იყოს შერჩეული სასულიერო სემინარია, აკადემია და საღვთისმეტყველო ინსტიტუტიდან (ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ, რადგან ბევრი სტუდენტისგან უარი მივიღეთ, ბოლო დროს განვვითარებული მოვლენების გამო ) ბალანსისი დაცვა ჩვენი აზრით აუცილებელია რადგან ძირითადი მიგნენები და კოლერეციები უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს. ასევე ძალიან საინტერესო იქნება თუ ჩატარდება რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი სადაც სხვადასხვა იდენტობის მქონე სტუდენტები იქნებიან მოწვეულნი.

ჩვენი ველის დაგეგმვის პერიოდში ვერ გმოხდა მნიშვნელოვანი იმ ფაქტის გათვალისწინება რომ სტუდენტების აკადემიური კალენდარი გაწერილი იყო შემდეგნაირად. მათ აღდგომის დღესასწაულზე 2კვირიანი დასვენება ჰქონდათ, ამ დროს რეპოდენტების ძირითადი ნაწილი ტოვებდა თბილისს და მიდოდა რაიონებში, ხოლო მათის ბოლო კვირას კი უკვე გამოცდები დაეწყოთ. ამ ფაქტმა ასევე ხელი შეგვიშალა სტუდენტების მობილიზაციაში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით ველის ჩატარების პროცესი ძალიან გართულდა. მომავალ მკვლევებს გვსურს ვურჩიოთ ეს მიზეზური დამაბრკოლებელი პირობები აუცილებლად წინასწარ გაწერონ დეტალურ.

### დასკვნა

დასავლური სასულიერო განათლების მქონე ექსპერტების შეფასება საქართველოში სასულიერო განათლების მიღებასთან დაკავშირებით უფრო კრიტიკულია, ვიდრე საქართველოში მცხოვრები ექსპერტ თეოლოგების. თითქმის ყველა საზოგადოებრივი პრობლემის ინტერპრეტირება თეოლოგიური თვალსაწიერიდან ხდება, სწორედ ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასულიერო განათლების ხარისხის ამაღლება.

ექსპერტები შემოთვალსაზრისად გამოხატავენ, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასულიერო პირის ხელდასხმის აუცილებელი პირობა არ წარმოადგენს საქართველოში თეოლოგიური განათლების მიღებას. სტუდენტების აზრით, სასულიერო პირად გახდომისათვის არ არის აუცილებელი წინაპირობა სასულიერო განათლების დაეუფლება. ამ არგუმენტის გასამყარებლად სასულიერო პირის დასახასიათებლად ისეთი თვისებები მოჰყავთ, როგორცაა ჰუმანურობა და სიმშვიდე. მიაჩნიათ, რომ სფეროში არაინფორმირებულობის ფონზე შეუძლიათ გახდნენ სასულიერო პირები. აღნიშნული ფაქტი გაუმართლებელია, რაც სტუდენტების მოტივაციის დონეს აფერხებს.

სასულიერო პირების დამოკიდებულება ამბივალენტურია საკვლევს საკითხთან დაკავშირებით, მიაჩნიათ, რომ აღნიშნული განათლება არ უნდა იყოს ნიშა, გახდეს სასულიერო პირი. თუმცა მისასლმებელია, როდესაც სასულიერო პირს სემინარია და აკადემია აქვს დამთავრებული.

კვლევის ჰიპოთეზა გამართლებულია, სოციალური ფაქტორები მართლაც ახდენს გავლენას სტუდენტების არჩევანზე მიიღონ სასულიერო განათლება. სტუდენტების უმრავლესობა, არ ისწავლიდა ამ კონკრეტულ სასწავლებელში, რომ არა მისი „მომხზლავი“ პირობები.

### ბიბლიოგრაფია და წყაროები:

v სანდრო ვარდოსანიძე; თბილისის სასულიერო სემინარია/აკადემია თბილის 2009 წელი

1. <http://tsas.ge/> უკანასკნელად იქნება გადამოწმებული 4.07.2013 წელი
2. <http://church.ge/index.php?showtopic=9528> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 30.06.2013 წელი
3. <http://www.azrebi.ge/index.php?pid=1456> -"სასულიერო სემინარია, პროტესტი, „მართლმადიდებლური სექტანტობა“ და ქრისტიანული ღირებულებები" -უკანასკნელად გადამოწმებული იქნება 2.06.2013 წელი
4. <http://sovlab.ge/node/362> -სასულიერო სემინარიის შესახებ- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 24.06.2013 წელი
5. <http://transparency.ge> -მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 3.07.2013 წელი
6. <http://netgazeti.ge> -თეოლოგიის დასასრული საქართველოში-უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 4.07.2013 წელი
7. <http://theologymq.wordpress.com/> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 4.07.2013 წელი
8. [http://ocindale.blogspot.com/2012/01/blog-post\\_15.html](http://ocindale.blogspot.com/2012/01/blog-post_15.html) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 4.07.2013 წელი

9. [http://www.patriarchate.ge/?action=news\\_show&mode=news&id=743](http://www.patriarchate.ge/?action=news_show&mode=news&id=743) უკანასკნელად იქნება გადამოწმებული 4.07.2013 წელი
10. <http://www.nplg.gov.ge> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 2.07.2013 წელი
11. <http://yvvelaperi2010.blogspot.com/2010/08/blog-post.html> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 4.07.2013 წელი
12. <http://www.patriarchate.ge> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 1.07.2013 წელი
13. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=1855> აკრედიტირებულ სასწავლებელთა სია უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 2.07.2013
14. <http://netgazeti.ge/GE/105/opinion/15910/> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 5.07.2013
15. <http://www.geotimes.ge/index.php/css/?m=home&newsid=10683> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 2.07.2013
16. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--4---4---0-0/-11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1ufZz-8-00-0-11-1-0ufZz-8-00&a=d&c=civil2&cl=C11.16.4&d=HASH26ad1b542a613ff010d6a1.2> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 2.07.2013

## დანართი 1. კვლევის ინსტრუმენტი

### გაიდი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ტარდება კვლევა, რომლის მიზანია აღიწეროს სასულიერო სემნარიის სტუდენტების ის რიგი მიზეზები, მოლოდინები და შეფასებები თუ რატომ აირჩია ეს სფერო და კონკრეტული სასწავლებელი.

ამ სფეროში კვლევა ამ კუთხით არ ჩატარებულა.. თქვენი შეხედულებები და მოსაზრებები იქნება მნიშვნელოვანი საზოგადოებაში მართებული აზრის ჩამოსაყალიბებლად. ზოგადად საინტერესოა თქვენი პრობლემების და მოსაზრებების თქვენული ხედვა, პრობლემის დასმა და რეკომენდაციების შემუშავება პრობლემის მოსაგვარებლად.

კვლევაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია, შეგიძლიათ რომელიმე კითხვას არ უპასუხოთ თქვენი სურვილისამებრ....

### სტუდენტების კითხვარის ბლოკი:

1. რომელ კურსზე სწავლობთ?
2. რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?
3. რამდენი წლის იყავით როდესაც ჩააბარეთ?
4. რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი?
5. მიიღო თუ არა ვინმემ მონაწილეობა თქვენი პროფესიის არჩევაში და თუ კი ვინ იყო ეს პირობებზე?
6. ჩარევა იყო რა სახის? ეს იყო თხოვნა, რჩევა, თუ მოთხოვნა?
7. მოახდინა თუ არა პროფესიის არჩევანზე ოჯახმა ზეგავლენა? (ემოციები, გრძნობები, დამოკიდებულებები)
8. შეგიძლიათ გაიხსენოთ როდის მიიღეთ გადაწყვეტილება, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით?
9. რა ასაკში მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?
10. სანამ საბოლოოდ ჩამყალიბდებდით ალბათ, გქონდათ შერჩეული პროფესიის რამდენიმე ვარიანტი, იქნებ გაიხსენეთ რა ვარიანტები იყო ....
11. რით მოგწონდათ თვითოეული მათგანი, რატომ უარყავით თითოეული მათგანი.

12. ეხლა რომ წარმოიდგინოთ, რომელ პროფესიაზე იგრძნობდით უკეთ თავს?
13. სად ჩააბარებდით სხვაგან, რომ არა სემინარია/აკადემია?
14. სასულიერო სემინარიაში ჩაბარება მხოლოდ სასულიერო ცოდნის მისაღებად გადაწყვეტეთ, თუ იყო აქ რაიმე სხვა დაინტერესება? თუ კი როგორი?
15. როდესაც აბარებდით სასულიერო სემინარიაში რა იყო თქვენთვის მიმზიდველი?
16. გთხოვთ ჩამოთვალოთ, ყველა ის ფაქტორი რამაც ზეგავლენა მოახდინა თქვენს არჩევანზე....
17. განვიხილოთ თითოეული მათგანი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.....
18. ფინანსურ ფაქტორზე რას იტყვით ....?
19. თუ იყო ის ფაქტორი მნიშვნელოვანი, რომ სწავლა არის უფასო? რატომ?
20. სოციალური გარემოს უზრუნველყოფის გამო.....?
21. გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი არჩევანზე ხომ არ იქონია გავლენა ვინმეს რჩევამ? მაგალითად მეგობრის? მშობლის? ნათესავის? მოძღვრის?
22. სასულიერო პირების რჩევა-დარგობამ?
23. უზრუნველყოფილი არიან თუ არა თქვენი მეგობრები ფინანსური მხარდაჭერით?
24. თუ კი ვისგან არიან უზრუნველყოფილნი?
25. თუ არა რატომ არ ეძებენ ალტერნატიულ გზებს?
26. რა არის იმის მიზეზი, რომ დამოკიდებულნი არიან მშობლებზე/ნათესავებზე...?
27. გთხოვთ მოგიყვებთ, უშუალოდ თქვენთ შემთხვევაში ვინ უზრუნველყოფთ ფინანსურად?
28. რატომ ხართ დამოკიდებული მშობლებზე და არ იძიებ ალტერნატიულ გზებს?
29. გაქვთ თუ არა რაიმე ფინანსური შეღავათები და პრივილეგიები უნივერსიტეტიდან?
30. თუ კი რა სახის?
31. გარდა ამის რა სახის მხარდაჭერას იღებთ უნივერსიტეტიდან?

### **სოციალური გარემოს აღწერა სემინარია/აკადემია**

ზოგადად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ინდიკატორების გათვალისწინებით. თქვენ თუ შეგვიძლიათ აგვიღწეროთ ეს პროცესი. როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი სასულიერო სემინარიაში/აკადემიაში?

გთხოვთ მოვიყვებთ, როგორია ერთ სასწავლო დღე სემინარიაში.....

32. როგორ იწყება თქვენი დილა სასულიერო სემინარიაში?
33. როგორია შეფასების სისტემა სასულიერო სემინარიაში/აკადემიაში?
34. დღის რა მონაკვეთს ატარებთ სასულიერო სემინარიაში/აკადემიაში?
35. რამდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკით?



36. თუ ეცნობით დამატებით ლიტერატურას და რა სიხშირით?
37. თუ იმართება დისკუსიები/კონფერენციები და იღებთ თუ არა მონაწილეობას?
38. თუ გაქვთ კომპიუტერული დარბაზი?
39. რა სიხშირით იყენებთ კომპიუტერებს?
40. ძირითადად რა სახის ინფორმაციას იძიებთ ინტერნეტის საშუალებით?

**საზოგადოების ინტეგრაცია/ჩართულობა**

1. თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა აკადემიაში ჩაბარება საზოგადოებაში ნაკლებ ინტეგრირებას?
2. თუ კი რაში ვლინდება ეს ?
3. არიან თუ არა ეს სტუდენტები ნაკლებად ჩართულნი სოციალურ პროცესებში?

**ახლანდელი რწმენა-წარმოდგენები:**

1. რას აკეთებთ თავისუფალ დროს ?
  - როგორ ერთობიან თქვენი მეგობრები?
  - რასთან ასოცირდება თქვენთვის გართობა?
  - გაიხსენეთ ის ადგილები სადაც თავისუფალ დროს ატარებთ?
1. თქვენთვის დასაშვებია პირადი ურთიერთობების ქონა ამ ეტაპზე?
  - თუ კი , მაშინ პირადი ურთიერთობები სწავლათან მიმართებაში ჰარმონიულია თუ გაბრკოლებით?
1. კვირაობით როდესაც ეკლესიაში წირვაზე დავდივართ ხშირად შევსწრებივარ ფაქტს რომ ადამიანებს აცვიათ არაშესაფერისად, რაც საზოგადოებისგან ხდება კრიტიკის საგანი. თქვენ რას ფიქრობთ ამ ფაქტზე?
4. როგორია თქვენი ხედვა, სხვა მრწამსის ადამიანი უნდა შედიოდეს თუ არა მართლამიდედებელ ეკლესიაში?
5. გარდა ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითისა, რა სოციალურად „შეუსაბამო“ ფაქტს გაიხსენებდით?

**ყველა ადამიანს, რომელიც ირჩევს საგანმანათლებლო დაწესებულებას და პროფესიას ნაწილობრივ მაინც აქვს მოლოდინები, რომლებიც ან მართლდება ან არა... ვისაუბროთ თქვენს მოლოდინებზე, რა იყო სანამ მიიღებდით გადაწყვეტილებას, რა სიტუაციაა ეხლა და რის შეცვლას ისურვებდით?**

**მომავალი >> მოლოდინები:**

1. გაიხსენეთ ის მოლოდინები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაბარებამდე გქონდათ? რამდენად გამართდა ან არა ისინი?
2. წარმოიდგინეთ რომ აბარებთ უნივერსიტეტში, რას პროფესიას აირჩევდით? დააკონკრეტეთ, რატომ?
3. რომ არ სწავლობდეთ სასულიერო აკადემიაში , სად ისწავლიდით? რატომ მანდამაინც სასულიერო აკადემია?
4. რამოდენიმე კითხვის წინ მესაუბრეთ მოლოდინებზე, თქვენი აზრით შეეფერება თუ არა სასულიერო სემინარიის სწავლის ხარისხი თქვენს მოთხოვნილებებს?
5. რას შეცვლიდით სწავლის ხარისხის/ტექნიკური აღჭურვილობის/აკადემიური პერსონალის/ან რაიმე მიზეზის/ გასაუმჯობესებლად.

6. თუ ეცნობით დამატებით ლიტერატურას და რა სიხშირით?

- ეს საუნივერსიტეტო მასალით არის გათვალისწინებული თუ თქვენი პირადი ინტერესის ხარჯზე.

7. როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი...

- აღმიწერეთ სალექციო-სასემინარო საათი. იმართება თუ არა დისკუსიები. იყენებთ თუ არა კომპიუტერს/ინტერნეტ მასალას?

8. ისურვებდით თუ არა სწავლას რომელიმე სასულიერო სემინარიაში/სასულიერო სასწავლებელში? რომელი ქვეყნის სასწავლებელს გაიხსენებდით ?

9. გაქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელიმე ქვეყნის სასულიერო სემინარიებზე/სასულიერო სასწავლებლებზე .

- თუ კი რატომ? რა უპირატესობები აქვს თქვენი აზრით იქ სწავლას ?
- თუ არა რატომ? ხომ არ არის ენის არცოდნის ბარიერი?

10. როგო ფიქრობთ, გაქნსხვავდება თუ არა საქართველოში და რომელიმე სხვა(რომელიც უკვე ჩამოთვალა) ქვეყნის სასულიერო სემინარიაში სწავლის ხარისხი? თუ არა რატომ ?

11. სემინარიის დამთავრების შემდეგ როგორი წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება? რა როლი უჭირავს თქვენს პროფესიას მომავალ გეგმებში?

- დაახლოებით 3-5 წლის შემდეგ როგორ და სად წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?
- 15 წლის შემდეგ, დაახლოებით 35 წლის ასაკში როგორ ხედავთ საკუთარ მომავალს. რა იქნება თქვენი საქმიანობა?

**სასულიერო პირის კითხვარის ბლოკი:**

1. როგორ დაახასიათებდით სასულიერო სემინარიას?
2. თქვენი აზრით, რამდენად ხარისხიან განათლებას იღებენ სასულიერო სემინარიის სტუდენტები? რაში გამოიხატება ეს ?
3. როგორ შეაფასებდით სტუდენტების კამყოფილებას/უკმაყოფილების დონეს?
4. შეესაბამება თუ არა სასწავლებლის ხარისხი, სტუდენტების და მოთხოვნილებას?
  - არსებული პირობების გასაუმჯობესებლად რა არის საჭირო?
  - დამატებით უნდა ისწავლებოდეს თუ არა საგანი/კურსი? თუ კი რომელი?
1. როგორ ფიქრობთ ჰარმონიაშია თუ არა, სწავლებისა და აკადემიური პერსონალის ხარისხი?
2. როგორია თქვენი აკადემიური ხარისხი, რა კურსს კითხულობთ?
3. რას ფიქრობთ სტუდენტების არჩევანზე \_ გახდნენ სასულიერო სემინარიის სტუდენტები, არის ნამდვილად პირადი მოწოდება თუ მატერიალური ფაქტორით დაინტერესება?
4. მოდით, ჩვენი საუბარი ეკლესიის კუთხით განვიხილოთ, მაგალიად რას ნიშნავს ეკლესიისთვის შეუფერებლად ჩაცმული ადამიანი?
  - თქვენი აზრით, ეკლესიაში შეუფერებლად ჩაცმული არ უნდა შედიოდეს ეკლესიაში მრევლი?
  - ამის საწინააღმდეგოდ არის თუ არა რაიმე მექანიზმი?
1. და რას ფიქრობთ, სხვა მრწამსის ადამიანზე, რომელიც შედის ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში? დასაშვებია თუ არა ეს ფაქტი?
- თქვენი ხედვა როგორია სხვა მრწამსის ადამიანზე, რომელიც შეუფერებლად ჩაცმული შედის მართლმადიდებლურ ეკლესიაში? (დასათვალისწინებლად, კულტურის გასაცნობად)

**დიდი მადლობა!**

**დანართი 2. კვლევის პრეზენტაცია**

**კვლევის პრეზენტაცია \_ ონლაინ ლინკი:**

[http://prezi.com/jvvqvmstweor/present/?auth\\_key=n6xf66t&follow=ctl-ysd5gjr3&kw=present-jvvqvmstweor&rc=ref-46275387](http://prezi.com/jvvqvmstweor/present/?auth_key=n6xf66t&follow=ctl-ysd5gjr3&kw=present-jvvqvmstweor&rc=ref-46275387)

გამოსაწერი ლინკი:

<http://allshares.ge/download.php?id=63959B0995>